ევროკავშირი საქართველოსთვის

EaP Eastern Partnership

DEP Development and Engagement Platform

განვითარებისა და ჩართულობის პლატფორმა

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების ჩართულობის ხელშეწყობა ხელოვნებასა და კულტურაში

კვლევის ანგარიში

©InForm – Platform for Inclusive Minds

2024

პუბლიკაციის ავტორი:

ქეთევან ტვილდიანი

პუბლიკაცია მომზადებულია პროექტის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების ჩართულობის ხელშეწყობა ხელოვნებასა და კულტურაში“ ფარგლებში, ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერების პროგრამის დაფინანსებით 2024 წელს.

მადლიერებები

ავტორი მადლობას უხდის პროექტში ჩართულ ყველა თანამშრომელს, რესპონდენტს, სფეროს ექსპერტებს და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდას დათმობილი დროისა და კვლევაში შეტანილი წვლილისთვის.

წინამდებარე პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ავტორი და შესაძლოა არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

© ყველა უფლება დაცულია. პუბლიკაციის გამოყენება და გავრცელება ნებადართულია წყაროს მითითების შემთხვევაში.

ტვილდიანი, ქ., *2024. “*შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების ჩართულობის ხელშეწყობა ხელოვნებასადა კულტურაში*”,* განვითარებისა და ჩართულობის პლატფორმა, თბილისი.

Info@dep.ge Ketevan@dep.ge

© ფოტოები : InForm – Platform for Inclusive Minds; ბათუმის ინკლუზიური თეატრი;

სარჩევი

	წინასიტყვაობა	4
I	საკანონმდებლო ჩარჩოს მიმოხილვა	5
II	მეთოდოლოგია	7
2.1	კვლევის მიზანი	8
2.2	კვლევის ამოცანები	8
2.3	კვლევის დიზაინი	8
2.4	კვლევის მონაწილეები	8
2.4.1	ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა პროფილები	8
2.4.2	ჩაღრმავებული ინტერვიუს მონაწილეთა პროფილები	10
III	კვლევის ძირითადი მიგნებები	12
IV	დასკვნები და რეკომენდაციები	22

© ბათუმის ინკლუზიური თეატრი-„ყველას უყვარს ოპალი“

წინასიტყვაობა

პროექტი **„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების ჩართულობის ხელშეწყობა ხელოვნებასა და კულტურაში“** განხორციელდა ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერების პროგრამის დაფინანსებით. პროექტის მიზანია, ბარიერების იდენტიფიცირება, რომელიც ხელს უშლის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდებს უფრო აქტიურად ჩაერთონ საქართველოს კულტურის და ხელოვნების სექტორში. პროექტი, ასევე, მიზნად ისახავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებების ადვოკატირებას და მათი საჭიროებების შესახებ რეკომენდაციების შემუშავებას, როგორც სამთავრობო, ისე კულტურის ორგანიზაციებისა და თავად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის.

წინამდებარე ანგარიში, მოიცავს ინფორმაციას იმ ბარიერების შესახებ, რომელსაც როგორც კულტურის და ხელოვნების სფეროში ჩართული, ასევე კულტურის და ხელოვნების სფეროში ჩართვის სურვილის მქონე შშმ ახალგაზრდები აწყდებიან. ანგარიშში წარმოდგენილია რეკომენდაციები როგორც სამთავრობო, ისე კულტურის ორგანიზაციებისა და თავად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, რომელიც წარმოადგენს ერთგვარ გზამკვლევს არსებული ბარიერების დასაძლევად.

I.საკანონმდებლო ჩარჩოს მიმოხილვა

ყველას აქვს ხელოვნებით ტკბობის უფლება. თუმცა, ეტლით მოსარგებლე პირი ვერ დაესწრება თეატრალურ წარმოდგენას თუ შენობაში შესვლა მხოლოდ კიბით არის შესაძლებელი. სმენის შეზღუდვის მქონე პირი ვერ გაიგებს ფილმის შინაარსს თუ არ იქნება სუბ-ტიტრები ან სურდო თარგმანი. უსინათლო პირი ვერ გაიგებს ნახატის შინაარსს თუ მას არ ახლავს აუდიო აღწერა, რომელსაც მოისმენს.

საქართველოს მთავრობის მიერ 2016 წლის 1 ივლისს დამტკიცებულ დოკუმნეტში „კულტურის სტრატეგია 2025“[1] 2.2 პუნქტში წერია:

„საზოგადოების ყველა წევრი, მათ შორის, სპეციალურ საჭიროებათა მქონე პირები, ახალგაზრდები, უმცირესობები, აქტიურად მონაწილეობენ კულტურულ ცხოვრებაში და მათთვის ხელმისაწვდომია კულტურის ინფრასტრუქტურა და რესურსები“.

სტრატეგიაში გაწერილი ამოცანები ითვალისწინებს სპეციალურ საჭიროებათა მქონე პირების აქტიურ ჩართვას კულტურულ ცხოვრებაში, რისთვისაც მნიშვნელოვანია შემოქმედებითი და კულტურული პროექტების, ღონისძიებების და შესაბამისი სივრცეების ხელმისაწვდომობის მხარდაჭერა.სტრატეგიის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს ადაპტირებული მედია პროგრამების შემუშავების მხარდაჭერა სპეციალურ საჭიროებათა მქონე პირების საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით და შშმ სტუდენტებისთვის, შეღავათების მექანიზმების შემუშავება, კულტურის სპეციალობებზე სწავლის ხელმისაწვდომობის მიზნით.

სტრატეგიაში გაწერილი ამოცანებიდან, ასევე მნიშვნელოვანია კულტურის დაწესებულებებისა და ორგანიზაციების, კერძო სტრუქტურების მხარდაჭერა და წახალისება, მათ შორის საკანონმდებლო დოზენე, შშმ პირებისთვის სპეციალური პირობების (მაგ. თავისუფალი შესვლა, ბილეთის დაბალი ფასი, ღია კარის დღე და სხვ.) შეთავაზებისა და მათი დასაქმების მიზნით. სტრატეგიის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს, კულტურის ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირებისთვის, არსებული და მშენებარე კულტურის ობიექტების მათ საჭიროებებთან ადაპტაციის გზით. სტრატეგიის დოკუმენტი, მიზნად ისახავს კულტურის დაწესებულებებისა და ორგანიზაციების კადრების გადამზადებას, შშმ პირებთან ურთიერთობისთვის საჭირო უნარების განვითარების მიზნით და კულტურის დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელშეწყობას შშმ პირების ადაპტირებული პროგრამებითა და მასალებით (ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი წიგნები, აუდიოწიგნები, სუბტიტრები, ინტერნეტ და ციფრული აპლიკაციები, სურდოთარგმანი და ა.შ.).

კულტურის სტრატეგია 2025-ის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს,

შშმ პირების კულტურისა და სახელოვნებო განათლებაში ჩართულობის ხელშეწყობა, შესაბამისი საკანონმდებლო-მარეგულირებელი მექანიზმებისა და ადაპტირებული გარემოს და სპეციალური პროგრამების შექმნის მხარდაჭერით. საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ 2016 წელს შექმნილი კულტურის სტრატეგია, პასუხობს გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციას[2] , რომელიც ძალაში 2008 წლის 3 მაისს შევიდა. დოკუმენტი, სახელმწიფოს ავალდებულებს საზოგადოებაში დამკვიდრებული წარმოდგენები ახალი მიდგომებით ჩაანაცვლოს და ებრძოლოს არსებულ სტიგმებს და სტერეოტიპებს.სახელმწიფო ვალდებულია მის მიერ დაგეგმილი პოლიტიკის ყველა პროგრამასა და მიმართულებაში გაითვალისწინოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებების დაცვა და ხელშეწყობა.

[1] კულტურის სტრატეგია *2025* - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო*; 2016;* გვ *17-18*

[2] შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია. გაერო*;*

ასევე, მნიშვნელოვანია, რომ მონიტორინგის პროცესში სრულად მონაწილეობდნენ თავად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და მათ მიერ შექმნილი ორგანიზაციები. სხვადასხვა სექტორებსა და დონეებზე საჭირო ქმედებების დასაჩქარებლად, მნიშვნელოვანია, მთავრობამ შექმნას ან გამოყოს საკოორდინაციო მექანიზმი.
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი მიღწევაა საქართველოს პარლამენტის მიერ „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ კანონის მიღება 2020 წელს. 2013 წელს, სახელმწიფომ გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენციის რატიფიცირება მოახდინა.

კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“[3] განსაზღვრავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ყველა სფეროში მათი სრულყოფილი მონაწილეობის ხელმისაწვდომობის ძირითად მექანიზმებს და პრინციპებს.
კანონის მუხლი 16. განსაზღვრავს მონაწილეობას კულტურულ, სპორტულ, გასართობ და სხვა საზოგადოებრივ ღონისძიებებში. რომლის მიხედვითაც, სახელმწიფო ხელს უწყობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობას და უზრუნველყოფს მათთვის შესაბამის ინფორმაციასა და მასალებზე წვდომას და სრულ ინკლუზიას; სახელმწიფო ასევე ხელს უწყობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ საკუთარი შემოქმედებითი პოტენციალის გამოყენებისა და განვითარებისათვის შესაბამისი მექანიზმების შემუშავებას.

კანონის მუხლი 17. განსაზღვრავს ცნობიერების ამაღლებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პოტენციალისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი წვლილის პოპულარიზაციის მიზნით და გრძელვადიანი პროგრამების განხორციელებას, რომლებიც ხელს უწყობს შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციის გამომწვევი სტერეოტიპების რღვევას;
საქართველოს კულტურის და სპორტის სამინისტროს ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს, წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ხელმისაწვდომობის გაზრდა ხელოვნების და კულტურის სფეროზე. თუმცა, მიუხედავად რიგი ღონისძიებებისა, რომელიც საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ გასწია აღნიშნული მიზნებისა და პრიორიტეტების განსახორციელებლად კვლავ მრავალი პრობლემაა აქტუალური, რაც ხელს უშლის შშმ ახალგაზრდებს აქტიურად იყვნენ ჩართულები ხელოვნების და კულტურის სფეროში. სამწუხაროდ, ჯერ ისევ გამოწვევად რჩება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ინტეგრაცია კულტურის და ხელოვნების სფეროში და მათთვის ინკლუზიური გარემოს შექმნა.
ანგარიშში მოცემული ბარიერები და რეკომენდაციები, შეიქმნა პროექტის ფარგლებში ჩატარებული ფოკუს ჯგუფებისა და ჩაღრმავებული ინტერვიუების საფუძველზე, რომელშიც აქტიურად იყვნენ ჩართულები სახელმწიფო და კულტურის ორგანიზაციების წარმომადგენლები, შშმ თემებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ხელოვნების და კულტურის სფეროში ჩართული და სფეროში ჩართვის სურვილის მქონე შშმ ახალგაზრდები.

[3] საქართველოს კანონი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ. *2020. https://matsne.gov.ge/ka/document/view/4923984?publication=2*

II.მეთოდოლოგია

2.1 კვლევის მიზანი

პროექტი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების ჩართულობის ხელშეწყობა ხელოვნებასა და კულტურაში“ მიზნად ისახავდა:

- ბარიერების იდენტიფიცირებას, რომელიც ხელს უშლის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდებს უფრო აქტიურად ჩაერთონ საქართველოს კულტურის და ხელოვნების სექტორში.
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებების ადვოკატირებას
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საჭიროებების შესახებ რეკომენდაციების შემუშავებას, როგორც სამთავრობო, ისე კულტურის ორგანიზაციებისა და თავად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, შშმ პირების ხელოვნებისა და კულტურის სფეროში ჩართულობასთან დაკავშირებით მათი ცნობიერების ამაღლების მიზნით.

კვლევის მიზნის მისაღწევად განისაზღვრა შემდეგი შეკითხვები:

- რა ბარიერებს აწყდებიან შშმ ახალგაზრდები, რომლებიც ჩართულები არიან ხელოვნების და კულტურის სფეროში/რომლებსაც აქვთ სურვილი აქტიურად ჩაერთონ ხელოვნების და კულტურის სფეროში?
- როგორ დაძლიეს ხელოვნების და კულტურის სფეროში ჩართულმა შშმ ახალგაზრდებმა არსებული ბარიერები?
- რამდენად აქვთ შესაძლებლობა ხელოვნებით დაინტერესებულ შშმ ახალგაზრდებს მიიღონ უმაღლესი სახელოვნებო განათლება?
- რამდენად აქვთ შესაძლებლობა ხელოვნებით დაინტერესებულ შშმ ახალგაზრდებს თავად გახდნენ ხელოვნების შემქმნელები?
- შეიცვალა თუ არა საზოგადოების სტერეოტიპული დამოკიდებულება შშმ პირების მიმართ ბოლო ათწლეულის მანძილზე?
- რამდენად სთავაზობენ საქართველოში მოღვაწე შშმ ხელოვანები ხარისხიან პროდუქტს აუდიტორიას?
- რა უნდა გააკეთოს სახელმწიფომ/კულტურის ორგანიზაციებმა/არასამთავრობო სექტორმა იმისთვის, რომ ხელოვნების და კულტურის სფერო უფრო მეტად იყოს ხელმისაწვდომი შშმ ახალგაზრდებისთვის?

2.2 კვლევის ამოცანები

კვლევის მიზნის მისაღწევად განისაზღვრა შემდეგი ამოცანები:

- ბარიერების იდენტიფიცირება, რაც ხელს უშლის შშმ ახალგაზრდებს აქტიურად ჩაერთონ სახელოვნებო და კულტურულ ცხოვრებაში;
- ბარიერების დაძლევის გზების და მეთოდების იდენტიფიცირება, რაც სამომავლოდ ხელს შეუწყობს შშმ ახალგაზრდების ჩართულობის წახალისებას ხელოვნების და კულტურის სფეროში;
- შესაძლებლობების გამოვლენა, რაც ხელოვნების და კულტურის სფეროში ჩართვის მსურველ შშმ ახალგაზრდებს დაეხმარება საკუთარი მიზნების განხორციელებაში;
- სახელმიწიფოს/სახელოვნებო ორგანიზაციების/არასამთავრობო ორგანიზაციების როლი და მზაობა ხელი შეუწყონ შშმ ახალგაზრდების ჩართულობას სექტორში;
- შშმ ახალგაზრდების უფლებების ადვოკატირება;
- ბარიერების დაძლევის გზების და რეკომენდაციების შემუშავება, შშმ ახალგაზრდების სექტორში ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით;

2.3 კვლევის დიზაინი

კვლევის საკითხის კომპლექსურობიდან გამომდინარე შეირჩა თვისებრივი კვლევის მეთოდი. თვისებრივი კვლევის ფარგლებში ჩატარდა ორი ფოკუს-ჯგუფური დისკუსია, რომელშიც მონაწილეობდნენ შშმ ახალგაზრდები საქართველოს სამი რეგიონიდან: აჭარა, იმერეთი და თბილისი. ერთი ფოკუს ჯგუფური დისკუსია გაიმართა შშმ ახალგაზრდებთან, რომლებიც უკვე ჩართულები არიან ხელოვნების და კულტურის სფეროში. ხოლო, მეორე ფოკუს ჯგუფური დისკუსია გაიმართა შშმ ახალგაზრდებთან, ვისაც აქვს სურვილი აქტიურად ჩაერთოს ხელოვნების და კულტურის სფეროში, თუმცა ვერ ახერხებს ბარიერების გამო. ფოკუს ჯგუფში მონაწილე რესპონდენტების ასაკი იყო 14-დან 30 წლამდე. თითოეულ ფოკუს ჯგუფში მონაწილეობა 8 შშმ ახალგაზრდამ მიიღო. რესპონდენტების ჯამური რაოდენობა იყო 16. დისკუსია 1-1.5 საათის განმავლობაში გაგრძელდა.

კვლევაში მონაწილეობა სხვადასხვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდამ მიიღო. მათ შორის იყვნენ: მოტორული, სენსორული (მცირემხედველი, სმენადაქვეითებული) და ინტელექტუალური შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე ახალგზარდები.

კვლევის ფარგლებში, დაიგეგმა და განხორცილედა 9 ჩაღრმავებული ინტერვიუ სფეროს ექსპერტებთან. ორი ინტერვიუ სამთავრობო სტრუქტურის წარმომადგენელთან, ოთხი ინტერვიუ კულტურის ორგანიზაციის წარმომადგენელთან და სამი ინტერვიუ არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელთან.

თითოეული ჩაღრმავებული ინტერვიუ 1-1.5 საათის განმავლობაში გაგრძელდა.

2.4 კვლევის მონაწილეები

2.4.1 ფოკუს-ჯგუფის მონაწილეთა პროფილები

კვლევის ფარგლებში 2 ფოკუს-ჯგუფური დისკუსია გაიმართა. თითოეულ ფოკუს ჯგუფში მონაწილეობა მიიღო 8 შშმ ახალგაზრდამ. ჯამში რესპონდენტთა რაოდენობა იყო 16. ისინი საქართველოს სამ რეგიონს წარმოადგენდნენ: თბილისი, იმერეთი და აჭარა. მათი ასაკი იყო 14-დან 30 წლამდე.

ფოკუს ჯგუფურ დისკუსიას ასევე რამდენიმე შშმ ახალგაზრდის მშობელიც ესწრებოდა. კვლევის რესპონდენტებად შერჩეულნი იყვნენ შშმ ახალგაზრდები, რომლებიც უშუალოდ ჩართულები არიან ხელოვნების და კულტურის სფეროში და შშმ ახალგაზრდები, ვისაც აქვთ სფეროში ჩართვის სურვილი, თუმცა ვერ ახერხებენ არსებული ბარიერების გამო.
განვითარებისა და ჩართულობის პლატფორმამ, ორგანიზაციის სოციალურ გვერდზე გამოქვეყნა ფოკუს ჯგუფზე რეგისტრაციის ფორმა. დარეგისტრირებული რესპონდენტებიდან, პირველი ფოკუს-ჯგუფისთვის შეირჩნენ ის შშმ ახალგაზრდები, ვინც აქტიურად არიან ჩართულები ხელოვნების და კულტურის სფეროში. ხოლო, მეორე ფოკუს ჯგუფისთვის ის ახალგაზრდები, ვისაც აქვს სფეროში აქტიურად ჩართვის სურვილი, თუმცა არსებული ბარიერების გამო ამას ვერ ახერხებენ.

1. **ფოკუს-ჯგუფი #1** - დისკუსიაში მონაწილეობდნენ შშმ ახალგაზრდები, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულები კულტურის და ხელოვნების სფეროში.

N	სქესი	ასაკი	ლოკაცია	შშმ ტიპი
1	კაცი	14-20	აჭარა	მოტორული
2	ქალი	14-20	აჭარა	სენსორული
3	ქალი	26-30	თბილისი	სენსორული
4	კაცი	26-30	თბილისი	ინტელექტუალური
5	ქალი	21-25	თბილისი	ინტელექტუალური
6	ქალი	14-20	თბილისი	ინტელექტუალური
7	ქალი	14-20	აჭარა	ინტელექტუალური
8	ქალი	26-30	აჭარა	სენსორული

ცხრილი #1. ფოკუს-ჯგუფ *1*-ში მონაწილე რესპონდენტების მონაცემები

1. **ფოკუს-ჯგუფი #2** - დისკუსიაში მონაწილეობდნენ შშმ პირები, რომლებსაც აქვთ კულტურის და ხელოვნების სფეროში აქტიურად ჩართვის სურვილი, თუმცა ვერ ახერხებენ ბარიერების გამო.

N	სქესი	ასაკი	ლოკაცია	შშმ ტიპი
1	ქალი	21-25	აჭარა	მოტორული
2	ქალი	26-30	თბილისი	მოტორული
3	ქალი	26-30	თბილისი	მოტორული
4	კაცი	14-20	აჭარა	სენსორული/მოტორული
5	ქალი	21-25	იმერეთი	სენსორული
6	კაცი	26-30	თბილისი	ინტელექტუალური
7	კაცი	21-25	თბილისი	ინტელექტუალური
8	ქალი	14-20	იმერეთი	ინტელექტუალური

ცხრილი #2. ფოკუს-ჯგუფ 2-ში მონაწილე რესპონდენტების მონაცემები

ფოკუს-ჯგუფში მონაწილე შშმ ახალგაზრდებს ჰქონდათ მოტორული, სენსორული და ინტელექტუალური შეზღუდვა. ორივე ფოკუს ჯგუფური დისკუსია გაიმართა დისტანციურად.

2.4.2 ჩაღრმავებული ინტერვიუს მონაწილეთა პროფილები

ჩაღრმავებული ინტერვიუები ჩატარდა სამთავრობო/კულტურის/არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. რესპონდენტების შერჩევა მოხდა „თოვლის გუნდის“ პრინციპით, სფეროში მათი ჩართულობის და გამოცდილების საფუძველზე.
სამთავრობო სტრუქტურებიდან, ჩაღრმავებულ ინტერვიუში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს პარლამენტის და საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლებმა. კულტურის ორგანიზაციის ოთხი წარმომადგენელი მონაწილეობდა ინტერვიუში, ხოლო შშმ თემებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციის სამი წარმომადგენელი.

ორგანიზაციის ტიპი	რესპონდენტების რაოდენობა
სამთავრობო ორგანიზაცია	2
კულტურის ორგანიზაცია	4
არასამთავრობო ორგანიზაცია	3

ცხრილი #3. ჩაღრმავებულ ინტერვიუში მონაწილე რესპონდენტების რაოდენობა

III.კვლევის ძირითადი მიგნებები

საქართველოს ხელოვნების და კულტურის სფეროში არსებული ბარიერები

კვლევის ფარგლებში, გამოვლინდა ბარიერები, რომლებსაც აწყდებიან როგორც შშმ ხელოვანები, ასევე ის შშმ ახალგაზრდები, რომელთაც სურთ სფეროში აქტიურად ჩართვა.

3.1 ინფრასტრუქტურული ბარიერი

კულტურის თუ სახელოვნებო დაწესებულებების უმრავლესობა საქართველოში, არ არის ადაპტირებული. კულტურული დაწესებულებები, რომლებიც ითვლება ადაპტირებულად, მოიაზრებს მხოლოდ საპირფარეშოების ადაპტირებას და შენობის მხოლოდ პირველი სართულის ხელმისაწვდომობას ეტლით მოსარგებლე შშმ პირებისთვის. ბრიტანეთის საბჭოს მიერ 2017 წელს მომზადებულ კვლევაში[4] შეფასებულია საქართველოს ორი სახელმწიფო თეატრის ხელმისაწვდომობა. ეს თეატრებია: მარჯანიშვილის თეატრი და რუსთაველის ეროვნული თეატრი. როგორც კვლევის დოკუმენტშია აღნიშნული, მარჯანიშვილის თეატრის შენობა არ არის სრულად ადაპტირებული. ცენტრალურ შესასვლელს ბევრი კიბე აქვს, რომელიც წარმოადგენს ბარიერს ეტლით მოსარგებლე და მხედველობის შეზღუდვის მქონე პირებისთვის. ეტლით მოსარგებლე პირებს შეუძლიათ შენობაში გვერდითა შესასვლელით შევიდნენ, თუმცა არსად არის ნიშანი რომელიც დაეხმარება მათ გვერდითა შესასვლელის პოვნაში. თატრის შენობის შიდა სივრცეც არ არის ხელმისაწვდომი შშმ პირებისთვის. რაც შეეხება რუსთაველის ეროვნულ თეატრს, პარტერში არის სპეციალური ადგილი ეტლით მოსარგებლე პირებისთვის. თეატრის ერთ-ერთი ლოჟა ადაპტირებულია, საიდანაც შესანიშნავად ჩანს სცენა. თუმცა, ლოჟაში შესასვლელი ვიწრო კარი ხელს უშლის ეტლით მოსარგებლეებს ლოჟაში დაუხმარებლად შევიდნენ. თეატრის ზედა სართულზე არსებული მუზეუმი არ არის ხელმისაწვდომი ეტლით მოსარგებლეებისთვის/მოტორული შეზღუდვის მქონე პირებისთვის. აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში მოხდა როგორც მარჯანიშვილის თეატრის, ასევე რუსთაველის თეატრის საპირფარეშოების ადაპტირება. კვლევაში ჩართული რესპონდენტების მიხედვით, ნაწილობრივ ადაპტირებულია ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრი. თეატრს აქვს შენობაში შესასვლელი პანდუსი და ადაპტირებული საპირფარეშო. თუმცა, თეატრის პარტერში არ არის ეტლით მოსარგებლეებისთვის განკუთვნილი ადგილი. რაც შეეხება ბათუმის დრამატულ თეატრს, თეატრის შენობა არის ადაპტირებული. თუმცა, პარტერში ადგილი მხოლოდ 8 ეტლისთვის არის განკუთვნილი, რაც ქმნის ერთგვარ ბარიერს, რადგან 8-ზე მეტ ეტლით მოსარგებლეს არ აქვს ღონისძიებაზე დასწრების შესაძლებლობა.თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ისტორიული შენობა ადაპტირებულია. შენობის პირველ, ისტორიულ, კორპუსში შესვლა ლიფტით ხდება და შენობაში თავისუფლად შეუძლიათ გადაადგილება მოტორული შეზღუდვის მქონე პირებს.

[4] Access report – Marjanishvili Theatre/Rustaveli National Theatre. British Council. 2017

თუმცა, ძირითადი დატვირთვის მქონე შენობა, სადაც მიმდინარეობს სწავლა, არის მაღლივი კორპუსი, ანუ მეორე კორპუსი, რომელსაც ამჟამად რეკონსტრუქცია უტარდება. რთულია იმის დაგეგმვა, არქიტექტურულად როგორ მოხდება ამ ორ კორპუსს შორის დამაკავშირებელი სივრცის ადაპტირება. თუმცა, ძირითადი ღონისძიებები და გამოფენები ტარდება პირველ კორპუსში, ისტორიულ შენობაში, რომელზე წვდომაც აქვთ მოტორული შეზღუდვის მქონე შშმ პირებს.

სამწუხაროდ არ არსებობს სხვა, უფრო მოცულობითი კვლევები, რომლებშიც საუბარი იქნება საქართველოში არსებული კულტურის/სახელოვნებო დაწესებულებების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით.

შენობები, სადაც ინკლუზიური თეატრალური თუ საცეკვაო დასები ატარებენ რეპეტიციებს ასევე არ არის ადაპტირებული. ბევრი ინკლუზიური დასის სამხატვრო ხელმძღვანელი დასში ვერ იღებს ეტლით მოსარგებლე/მოტორული შეზღუდვის მქონე პირებს, ინფრასტრუქტურული ბარიერის გამო.

ძალიან რთულია ადაპტირებული შენობების ნახვა. თუმცა, ვფიქრობთ ყველა სივრცეში შევიდეთ და ვითამაშოთ რომ იმ არაადაპტირებული სივრცეების წარმომადგენლებმა დაინახონ საჭიროება იმისა, რომ მნიშვნელოვანია სივრცის ადაპტირება. როცა გავაკეთებთ მსგავს სივრცეებში წარმოდგენებს და დაინახავენ რომ შშმ აუდიტორიას უნდა მსგავს ღონისძიებებზე დასწრება, მიხვდებიან რომ საჭიროა სივრცის ადაპტირება"[5]

საქართველოს პარლამენტის მიერ 2020 წელს მიღებულ „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ"[6] კანონში წერია:

საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის კულტურის ნებისმიერი სფეროს, მათ შორის, სახელოვნებო განათლების, ხელოვნების, შემოქმედების, კულტურული ღონისძიებებისა და კულტურული ტურიზმის, აგრეთვე სპორტის ნებისმიერი სფეროს ხელმისაწვდომობას და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კულტურულ და სპორტულ ცხოვრებაში მონაწილეობას, რაც გულისხმობს: ა) ადაპტირებული პროგრამებითა და მასალებით უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმების, ადაპტირების სტანდარტებისა და მეთოდიკის შემუშავებას, კულტურისა და სპორტის ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობას;

კანონში არსებული ჩანაწერის მიუხედავად, კულტურის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა კვლავ გამოწვევად რჩება.

მნიშვნელოვანია, შენობების ადაპტირება მოხდეს ხელმისაწვდომობის საერთაშორისო სტანარტების შესაბამისად. ხშირად, შენობების ადაპტირება ხდება საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინების გარეშე, რაც საბოლოო ჯამში იწვევს იმ პრობლემას, რომ რეალურ ცხოვრებაში, შენობა მიუწვდომელია შშმ პირისთვის. პანდუსი შესაძლოა ისე იყოს დამონტაჟებული რომ მასზე დამოუკიდებლად ასვლა ვერ შეძლოს ეტლით მოსარგებლემ.

საქართველოს პარლამენტის მიერ შემუშავებული დოკუმენტის მე-IV თავში „გარდამავალი და დასკვნითი დებულებები", მუხლი 36, გარდამავალი დებულებები[7] წერია რომ 2021 წლის 1 იანვრამდე საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს სურდო-თარჯიმნების სერტიფიცირების პროგრამის შემუშავება და დამტკიცება, ხოლო 2035 წლის 31 დეკემბრამდე ეტაპობრივად განახორციელოს ამ კანონის გამოქვეყნებამდე არსებული შენობა-ნაგებობებისა და სხვა სახის ინფრასტრუქტურის, აგრეთვე არსებული სერვისების უნივერსალური დიზაინის შესაბამისად ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სრული ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.

[5] რესპონდენტი *4*
[6] საქართველოს კანონი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ. *2020. https://matsne.gov.ge/ka/document/view/4923984?publication=2*
[7] თავი *IV* გარდამავალი და დასკვნითი დებულებები. მუხლი *36.* გარდამავალი დებულებები. *2021.*

იმ შემთხვევაში, როდესაც შენობის ადაპტირება შეუძლებელია ობიექტური ტექნიკური მიზეზების გამო, რაც უნდა დასტურდებოდეს სათანადო საექსპერტო დასკვნით, გაითვალისწინოს მოქმედების ალტერნატიული საშუალებები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სრული ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. ხოლო, კანონის გამოქვეყნების მომენტიდან, შენობა-ნაგებობების პროექტირება და მშენებლობა განხორციელდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე.

აღნიშნული ჩანაწერი, ძალიან დიდი წინგადადგმული ნაბიჯია. თუმცა, მნიშვნელოვანია მკაცრად მოხდეს კანონის აღსრულების მონიტორინგი და შეფასება, რათა ინფრასტრუქტურა მაქსიმალურად ხელმისაწვდომი გახდეს შშმ პირებისთვის.

ინფრასტრუქტურული ბარიერი, არის ყველაზე დიდი ბარიერი, რაც აფერხებს შშმ ახალგაზრდებს დაესწრონ სახვადასხვა კულტურულ/სახელოვნებო ღონისძიებებს ან თავად ჩაერთონ მსგავსს ღონისძიებებში.

© ბათუმის ინკლუზიური თეატრი - „მუსიკის ჰანგები“

3.2 არაადაპტირებული რეპერტუარი/გარემო

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდებისთვის დიდ ბარიერს წარმოადგენს არაადაპტირებული რეპერტუარი/გარემო თეატრებში, მუზეუმებსა და გალერეებში. თითქმის არც ერთი თეატრის რეპერტუარი საქართველოში არ არის ადაპტირებული სმენის არმქონე/უსინათლო/ინტელექტუალური შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე პირებისთვის. გალერეებსა და მუზეუმებში არ არის ნახატების ან წარმოდგენილი სამუზეუმო ექსპონატების აუდიო აღწერა. სპექტაკლების მსვლელობისას არ გამოიყენება სუბ-ტიტრები ან არ ითარგმნება წარმოდგენა სურდო თარჯიმნის მიერ. არც ალტერნატიული ადაპტირებული ონლაინ სივრცე არსებობს, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება შშმ ახალგაზრდებისთვის. კულტურული ორგანიზაციების ვებ-გვერდზებიც არ არის ადაპტირებული.

აღსანიშნავია, რომ რუსთაველის სახელმწიფო თეატრში, უსინათლო პირებისთვის გახმოვანდა მიზანსცენები და მათ ყურსასმენებსაც ურიგებენ. ხოლო, სმენის არმქონე პირებისთვის, სცენაზე დამონტაჟებულ ეკრანზე მიდის სუბ-ტიტრები. სამწუხაროდ, აღნიშნულ ინფორმაციაზე წვდომა არ აქვთ შშმ პირებს. მნიშვნელოვანია, მსგავსი პრეცენდენტის შესახებ ინფორმაცია შესაბამისად შეიფუთოს და მიეწოდოს საზოგადოებას, რომ შშმ პირებს ჰქონდეთ შესაძლებლობა აქტიურად ჩაერთონ თეატრალურ ცხოვრებაში ხოლო, სხვა თეატრებს და სახელოვნებო სივრცეებს მიეცეთ მოტივაცია, რომ თავადაც მოახდინონ რეპერტუარის ადაპტირება.

3.3 სტერეოტიპული დამოკიდებულება

ბოლო ათწლეულის განმავლობაში, საზოგადოების ცნობიერება უფრო გაიზარდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ. თუმცა, ხელოვნების სფეროში ჩართული შშმ ახალგაზრდები, ხშირად ხდებიან სტერეოტიპული დამოკიდებულების მსხვერპლნი. სტერეოტიპული დამოკიდებულება საზოგადოების მხრიდან, ჯერ ისევ რჩება ერთ-ერთ ძირითად ბარიერად. კვლევის ფარგლებში გამართული ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, რომ ინკლუზიური საცეკვაო ან თეატრალური დასების მიერ გამართულ წარმოდგენებს, უმეტესწილად მხოლოდ წარმოდგენაში ჩართული შშმ პირების ოჯახის წევრები ესწრებიან. რადგან, საზოგადოების უმეტეს ნაწილს აქვს სტერეოტიპული დამოკიდებულება შშმ ხელოვნების/ხელოვანების მიმართ. ისინი ფიქრობენ, რომ მათ მიერ შექმნილი ხელოვნებას არ ექნება მაღალი ხარისხი, შესაბამისად არ ესწრებიან მსგავს ღონისძიებებს.

> ყველაზე დიდი პრობლემა ადამიანებშია. დღემდე ბევრი ადამიანი ფიქრობს, რომ იმას რასაც დამოუკიდებლად მივაღწიე, მივაღწიე იმიტომ რომ ვიღაცას შევეცოდე. არადა, შეცოდება რა შუაშია. ამის პროტესტი მაქვს. ასეთი დამოკიდებულება აღარ უნდა იყოს. იმას არ ფიქრობენ რომ შშმ პირებს ნიჭი აქვთ, მოდი ხელი შევუწყოთ და ეს ნიჭი განვავითაროთ. როცა ყველა ამბობს რომ შეზღუდული შესაძლებლობა არ არსებობს და ჩვენ თქვენი თანასწორები ვართ, რატომ უნდა შევეცოდო ვინმეს. მეც იგივეს ვაკეთებ რასაც ნებისმიერი ადამიანი. ოღონდ, ყველა ჩვენებურად ვაკეთებთ. ეს სიბრალული და სტერეოტიპები უნდა დავძლიოთ. ისე არაფერი გამოსწორდება“ *[8]*

ხშირ შემთხვევაში, ინტეგრირებულ სახელოვნებო დასებს, ტიპური განვითარების მსახიობები უარს ეუბნებიან თანამშრომლობაზე. რადგან, ჰგონიათ, რომ მსგავსი კოლაბორაცია არ იქნება მომგებიანი მათი სახელოვნებო კარიერისთვის. ხშირია შემთხვევა, როცა თავად შშმ პირების მშობლებს აქვთ სტერეოტიპული დამოკიდებულება თავიანთი შვილების შესაძლებლობების მიმართ და ჰგონიათ, რომ ისინი ვერ შეძლებენ ხელოვნების სფეროში აქტიურად ჩართვას. ხელოვანებს ძალიან დიდი ძალისხმევა სჭირდებათ, რომ მოიპოვონ შშმ ახალგაზრდების მშობლების ნდობა და დაარწმუნონ თავიანთი შვილების შესაძლებლობებში.

> ბოლო წლების მანძილზე, ბევრი რამე შეიცვალა. საკითხის აქტუალობას ბევრი ადამიანი გრძნობს უკვე და აღიარებენ, რომ შშმ პირებს უნდა ჰქონდეთ სივრცე სადაც ისწავლიან ცეკვას, თუმცა არა სცენა, სადაც იცეკვებენ“ *[9]*

აღსანიშნავია, რომ თავად სახელმწიფოსაც სტერეოტიპული დამოკიდებულება აქვს შშმ პირების მიმართ. მიუხედავად *2020* წელს მიღებული კანონისა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“, რომელშიც თეორიულად წერია, რომ კულტურული

[8] რესპონდენტი *8*

[9] რესპონდენტი *5*

ღონისძიებები ხელმისაწვდომი უნდა იყოს შშმ პირებისთვის, პრაქტიკაში არ იხარჯება ძალისხმევა სახელმწიფოს მხრიდან, რომ ყველა კულტურული ღონისძიება გახდეს ხელმისაწვდომი შშმ პირებისთვის. სახელმწიფოს სტერეოტიპული დამოკიდებულება კი იმაში გამოიხატება, რომ მათ სჯერათ შშმ პირები არ მოსთხოვენ იმას, რასაც ტიპური განვითარების მქონე პირები სთხოვენ. აღნიშნულ სტერეოტიპულ დამოკიდებულებას ხელს თავად შშმ პირებიც უწყობენ, რადგან არ მოითხოვენ სახელმწიფოსგან იმ ღონისძიებების გატარებას, რაც საჭიროა იმისთვის რომ ისინი სრულფასოვნად ჩაერთონ ხელოვნების და კულტურის სფეროში. ბევრი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელს, რომლებიც მუშაობენ შშმ პირების უფლებების ადვოკატირების მიმართულებით, უჭირს დააჯეროს სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლები, რომ მათი ვალდებულებაა გარემო მეტად ინკლუზიური გახადონ შშმ პირებისთვის.

ხშირია შემთხვევები, როცა თავად ხელოვანებს, რეჟისროებს ან სამხატვრო ხელმძღვანელებს აქვთ სტერეოტიპული დამოკიდებულება ხელოვნებაში ჩართული შშმ ახალგაზრდების მიმართ. მათ სრულყოფილად არ რთავენ ღონისძიებებში რადგან ჰგონიათ, რომ ისინი ამას ვერ შეძლებენ. შესაბამისად, მსგავსი დამოკიდებულება კიდევ უფრო ამძაფრებს სტიგმას საზოგადოებაში. ესეც ერთგვარია ბარიერია შშმ ახალგაზრდებისთვის და უქრობს მათ სურვილს აქტიურად ჩერთონ ხელოვნების სფეროში.

საზოგადოებაში შშმ პირების მიმართ სტერეოტიპული დამოკიდებულების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი არის ის, რომ საზოგადოება დღემდე ხელმძღვანელობს სამედიცინო მოდელით, რომელიც შშმ პირებს განიხილავს, როგორც „პაციენტებს“, „ავადმყოფებს“, რომელთაც გართულებული ფიზიკური დარღვევები აქვთ და მკურნალობა ესაჭიროებათ. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და დასავლეთის ბევრმა ქვეყანამ უკვე უარყო სამედიცინო მოდელი და გადავიდა სოციალურ მოდელზე, რომლის თანახმადაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანთა პრობლემები საზოგადოების არასწორი დამოკიდებულების შედეგია (მაგალითად არსებული სტიგმა და დისკრიმინაცია, ცრუ შეხედულებები, რომლებიც მნიშვნელოვანწილად ართულებს შშმ ადამიანთა ყოფა-ცხოვრებას). თუ სამედიცინო მოდელი ათავისუფლებდა საზოგადოებას, სოციალური მოდელი პირიქით, სწორედ მას აკისრებს უპირველეს პასუხისმგებლობას. სოციალური მოდელისთვის ცენტრი - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანია, რომელსაც ფიზიკური შეზღუდვების გამო, გარემოში არსებული ბარიერები კიდევ უფრო მეტ დაბრკოლებებს უქმნის.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია სოციალური მოდელის წინ წამოწევა, რათა შეიცვალოს საზოგადოების ცნობიერება.

საზოგადოების მხრიდან სტერეოტიპული დამოკიდებულება, უკარგავს შშმ ახალგაზრდებს თვითრწმენას. ზოგიერთმა შშმ ხელოვანმა, სწორედ საზოგადოების მხრიდან სტერეოტიპული დამოკიდებულების გამო თქვა უარი საკუთარ სახელოვნებო საქმიანობაზე. ხოლო, ბევრმა სფეროში აქტიურად ჩართვის მსურველმა შშმ ახალგაზრდამ შეიკავა თავი მსგავსი ნაბიჯის გადადგმისგან.

©InForm – Platform for Inclusive Minds

3.4 უმაღლეს სახელოვნებო განათლებაზე წვდომის არქონა

შშმ ახალგაზრდებისთვის, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბარიერს წარმოადგენს წვდომის არ ქონა უმაღლეს სახელოვნებო განათლებზე. შშმ ახალგაზრდებს, არ აქვთ შესაძლებლობა ჩააბარონ უმაღლეს სახელოვნებო დაწესებულებებში. პირველი პრეცენდენტი დაფიქსირდა *2023* წელს, როცა დაუნის სინდრომის მქონე პირმა ჩააბარა ქორეოგრაფიაზე კულტურის ინსტიტუტში. აღსანიშნავია, რომ არც საგანმანათლებლო პროგრამა არ არის მორგებული შშმ ახალგაზრდებზე.

როცა სახელოვნებო დაწესებულებაში, აბიტურიენტი აბარებს ქორეოგრაფიულზე, შერჩევის ერთ-ერთ კრიტერიუმს წარმოადგენს ჯანმრთელობის ცნობის წარდგენა, რომელიც ადასტურებს, რომ მას არ აქვს შეზღუდული შესაძლებლობა. შესაბამისად, ეს კრიტერიუმი წარმოადგენს დიდ ბარიერს იმ შშმ ახალგაზრდებისთვის, რომელთაც სურთ ქორეოგრაფიულზე ჩაბარება.

კვლევაში ჩართული რესპონდენტების მიხედვით, თეატრალურ უნივერსიტეტს არ ახსოვს არც ერთი შშმ პირის განაცხადი უნივერსიტეტში სწავლასთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია, რომ ბევრ შშმ ახალგაზრდას არ აქვს შესაძლებლობა მიიღოს საშუალო განათლების ატესტატი, რაც მათ მნიშვნელოვნად უშლის ხელს სწავლა უმაღლეს სახელოვნებო დაწესებულებებში გააგრძელონ.

უმაღლეს სახელოვნებო დაწესებულებებში სწავლის ნაცვლად, შშმ ახალგაზრდებს ხშირად სთავაზობენ სხვადასხვა სახელოვნებო ტრენინგებს ან სასერტიფიკატო პროგრამებს, რომლებიც ხშირად, არ არის ავტორიზებული და აკრედიტებული განათლების ხარისხის სამსახურის მიერ. ამჟამად, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია მუშაობს მოკლვადიანი სასერტიფიკატო პროგრამების შემუშავებაზე, რომელიც გათვალისწინებული იქნება ნებისმიერი ადამიანისთვის, ვინც ჩართულია ხელოვნების სფეროში და ვისაც სურს რომ თავად ასწავლოს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება ინკლუზიურ ჯგუფებს ინტეგრირებული ფორმატით ან ექსკლუზიურ სიტუაციებში, მაგალითად, დღის ცენტრებში.

> *ყველა გენიალურ ადამიანს, რომელმაც დღესდღეისობით ისტორიაში თუკი რამ ძვირფასი გაგვაჩნია შემოგვინახა და რაზეც თაობები ვიზრდებით ჰქონდა შეზღუდული შესაძლებლობა. სტივი უანდერი იყო უსინათლო, თუმცა თაობები ვიზრდებით მის შემოქმედებაზე“.[10]*

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს ძალიან აქტიური შრომის შედეგად, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების უმეტესი ნაწილი სრულად ხელმისაწვდომია შშმ ახალგაზრდებისთვის. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები ხელმძღვანელობენ სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების მიხედვით. ასევე აღსანიშნავია, რომ განათლების და მეცნიერების სამინისტრო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებისთვის, ხშირად ატარებს ტრენინგებს მათი ცნობიერების ამაღლების მიზნით, რათა დაძლიოს ის სტერეოტიპული დამოკიდებულება, რაც არსებობს საზოგადოებაში შშმ პირების მიმართ.

შშმ პირებს ბავშვობის ასაკიდან უნდა ჰქონდეთ სახელოვნებო საქმიანობაში ჩართვის შესაძლებლობა.

უმაღლეს სახელოვნებო განათლებაზე წვდომის არ ქონა წარმოადგენს მნიშვნელოვან ბარიერს იმ შშმ ახალგაზრდებისთვის, ვისაც სურთ ხელოვნება უფრო სიღრმისეულად შეისწავლონ.

---

[10] რესპონდენტი *3*

3.5 მწირი დაფინანსება სახელმწიფოს მხრიდან

საქართველოს კულტურის და სპორტის სამინისტრო, ყოველწლიურად აცხადებს კონკურსს „ინკლუზიური სახელოვნებო პროექტების ხელშეწყობა“. 2022 წელს კონკურსის ბიუჯეტი იყო 120 000 ლარი. 2021 წელს კონკურსის ბიუჯეტი იყო 97,055 ლარი. კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, 2022 წელს, კონკურსის ფარგლებში გამარჯვებულ პროექტებში ჩართული და დასაქმებული პირების რაოდენობა იყო 137, აქედან 66 შშმ პირი.
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის, კულტურის პროექტებისა და პროგრამების განყოფილება, უზრუნველყოფს კულტურის სფეროს პროექტების განხორციელების მხარდაჭერას. პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი ბიუჯეტი ძირითადად სამი მიმართულებით ნაწილდება: კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა, კონკურსი „შემოქმედებითი თბილისი“, ინკლუზიური ხელოვნებისა და განათლების ხელშეწყობა. კვლევაში ჩართული რესპონდენტების მიხედვით, ბიუჯეტის მსგავსი განაწილება დისკრიმინაციულია, რადგან თბილისის მერიას ცალკე აქვს ბიუჯეტი გამოყოფილი ინკლუზიური ხელოვნებისა და განათლების ხელშეწყობისთვის და ცალკე კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობისთვის. ბიუჯეტი ინკლუზიური ხელოვნებისთვის კი ძალიან მწირია. პროექტი, რომელშიც ნახსენებია სიტყვა ინკლუზიური ავტომატურად გადადის ინკლუზიური ხელოვნებისა და განათლების ხელშეწყობის ნაწილში.
კვლევაში ჩართული რესპონდენტების მიხედვით, კულტურის სამინისტროს და თბილისის მერიის მიერ ინკლუზიურ კულტურულ პროექტებზე გამოყოფილი ბიუჯეტი არასაკმარისი და ერთჯერადია. შესაბამისად, არ უზრუნველყოფს ინკლუზიური პროექტების მდგრადობას.

> *“თუ მხოლოდ სპექტაკლებზე გვექნება აქცენტი და არა ხელოვანის განვითარებაზე, რაც სპექტაკლებს შორის ხდება და ამაზე დაფინანსება არ იქნება, მაშინ სფერო ვერ განვითარდება. ყოველთვის იქნება ერთჯერადი სპექტაკლები. არ გვეყოლება ინკლუზიური ცეკვის სპეციალისტები და არც შშმ სპეციალისტები, რომლებიც ამ სფეროში გააგრძელებენ მუშაობას“.[11]*

როგორც კულტურის სამინისტროს, ასევე მუნიციპალიტეტების მერიას გამოცხადებული საგრანტო კონკურსების ფარგლებში შედგენილი აქვთ სპეციალური კომისიები, რომლებიც საგრანტო კონკურსის მონაწილეებს აფასებენ და ავლენენ გამარჯვებულებს. კვლევაში ჩართული რესპონდენტების მიხედვით, ხშირ შემთხვევაში, სავარაუდოდ ამ კომისიებში ჩართულ პირებს არ აქვთ მიმღებლობა შშმ პირებთან დაკავშირებული საკითხების მიმართ. სწორედ ამის გამო ვერ ხდება ისეთი მნიშვნელოვანი პროექტების დაფინანსება და განხორციელება, რომელიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია შშმ ახალგაზრდების სახელოვნებო და კულტურულ ცხოვრებაში მაქსიმალური ჩართვისთვის. ხშირად, გადაწყვეტილებების მიმღები პირები არასწორად ანაწილებენ პრიორიტეტებს.
სახელმწიფო სტრუქტურები, აწარმოებენ გაცემული გრანტის ფარგლებში განხორციელებული ინკლუზიური პროექტების შეფასებას და მონიტორინგს. თუმცა, მონიტორინგის და შეფასების ინსტრუმენტი ხშირ შემთხვევაში არ არის ეფექტიანი მსგავსი პროექტების შესაფასებლად. მონიტორინგის და შეფასების სისტემის არაეფექტიანობა კი პირდაპირ კავშირშია ინკლუზიური პროექტის დაბალ ხარისხთან. დაბალი ხარისხის წარმოდგენებს კი უმეტეს შემთხვევაში არ ჰყავს აუდიტორია.

[11] რესპონდენტი 9

კულტურის სამინისტროს და მუნიციპალიტეტების მერიის მიერ გამოყოფილი მწირი დაფინანსება, წარმოადგენს მნიშვნელოვან ბარიერს, რომელიც ხელს უშლის სხვადასხვა ინკლუზიური სახელოვნებო კომპანიების მდგრადობას და გრძელვადიან პერსპექტივაში არსებობას. აღნიშნული კომპანიები, ხშირ შემთხვევაში, პროექტის ფარგლებში დასაქმებულ კადრებსაც კი ვერ ინარჩუნებენ, რადგან როგორც კომპანიაში ჩართულ შშმ ახალგაზრდებს, ასევე ტიპური განვითარების მქონე პირებს, არ აქვთ მოტივაცია და სტაბილურობის განცდა. მსგავსი კომპანიები პროექტიდან პროექტამდე არსებობენ.

„როდესაც სახელმწიფო სტრუქტურები გასცემენ დაფინანსებას, შესაბამისად უნდა მოითხოვონ შექმნილი პროდუქტის მაღალი ხარისხი. წარმოდგენების მაღალი ხარისხი, გაზრდის როგორც ინკლუზიური ღონისძიების განმახორციელებელი ორგანიზაციის ცნობადობას, ასევე საზოგადოების ცნობიერებას ინკლუზიის მიმართულებით“*[12]*

[12] რესპონდენტი *4*

3.6 ინფორმაციაზე წვდომის ნაკლებობა

მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაციულ საუკუნეში ვცხოვრობთ, ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება შშმ ახალგაზრდების წვდომა ინფორმაციაზე. სახელოვნებო სფეროში არსებულ ყველა დაწესებულებას თუ ინსტიტუციას აქვს ვებ-გვერდი ან სოციალური ქსელი, სადაც აქტიურად ხდება ინფორმაციის განთავსება. თუმცა, სამწუხაროდ ისინი არ არის ადაპტირებული შშმ პირებისთვის. როცა ხდება სპეციალური აფიშის გამოქვეყნება სამომავლოდ დაგეგმილი ღონისძიების შესახებ, არ არის მითითებული რამდენად შეძლებენ აღნიშნულ ღონისძიებაზე დასწრებას შშმ პირები. სხვადასხვა სახელოვნებო სივრცეებს, არ აქვთ საკუთარ ვებ-გვერდსა თუ სოციალურ ქსელში განთავსებული ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა სერვისებს/შეღავათებს სთავაზობენ შშმ პირებს.
კვლევაში ჩართული ბევრი შშმ ახალგაზრდის და მათი მშობლების თქმით, ხშირ შემთხვევაში, სხვადასხვა ინკლუზიური პროექტების თუ წარმოდგენების შესახებ ინფორმაცია არ მიდის შშმ ახალგაზრდებამდე და არც მათ მშობლებამდე. შესაბამისად, ისინი ვერ ახერხებენ მსგავს ღონისძიებებში ჩართვას ან ამ ღონისძიებებზე დასწრებას. კვლევის მონაწილე შშმ ახალგაზრდებმა ხაზი გაუსვეს იმ ფაქტსაც, რომ მსგავს შემთხვევებში ნეპოტიზმს აქვს ადგილი, რადგან ინფორმაციას საინტერესო პროექტების/აქტივობების შესახებ უმეტესწილად ორგანიზაციები მხოლოდ საკუთარ ნაცნობებს უზიარებენ და შესაბამისად ეს ინფორმაცია ვერ აღწევს ყველა შშმ ახალგაზრდამდე.
დასავლეთის ძალიან ბევრი ქვეყანა, მოწინავე პოზიციაზეა სახელოვნებო სფეროს ინკლუზიის მიმართულებით. ისინი ხშირად უწევენ პოპულარიზაციას სხვადასხვა წარმატებულ შშმ ხელოვანებს თუ ინკლუზიურ დასებსა და წარმოდგენებს. სამწუხაროდ, საქართველოში ძალიან იშვიათად ხდება საუკეთესო მაგალითების გაზიარება საზოგადოებისთვის. ბევრი წარმატებული შშმ ხელოვანი და ინკლუზიური კომპანიაა საქართველოში, რომელთა შესახებ ინფორმაციის გავრცელება წაახალისებს სხვა შშმ ახალგაზრდებს რომ უფრო მეტად გააქტიურდნენ სფეროში.
ბევრ შშმ ახალგაზრდას აქვს ენობრივი ბარიერი. ისინი არ ფლობენ უცხო ენებს, შესაბამისად არ აქვთ წვდომა ხელოვნების და კულტურის სფეროში საზღვარგარეთ არსებულ ინფორმაციაზე. მსგავს ინფორმაციაზე წვდომა, შშმ ახალგაზრდებს მისცემს მეტ მოტივაციას გამოამჟღავნონ თავიანთი შემოქმედებითი უნარები და შესაძლებლობები და სხვა შშმ ახალგაზრდებისთვის იქცნენ მაგალითად.

3.7 არაანაზღაურებადი შრომა

გაწეული შრომისთვის მიღებული ჰონორარი, არის ყველაზე დიდი მოტივაცია, რაც ხელს უწყობს დასაქმებულ პირს უფრო დიდი პასუხისმგებლობით და მონდომებით შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა. საქართველოში არსებობს რამდენიმე ინკლუზიური საცეკვაო/თეატრალური დასი. ასევე არიან შშმ მხატვრები, მწერლები და ხელოვანები, რომლებიც ყოველდღიურად შრომობენ იმისთვის რომ დაამსხვრიონ სტერეოტიპები და ამაყად წარმოაჩინონ საკუთარი უკიდეგანო შესაძლებლობები. ისინი ტოლს არ უდებენ ტიპური განვითარების მქონე ხელოვანებს და ცდილობენ სრულფასოვანი ადგილი დაიკავონ საზოგადოებაში. თუმცა, ხშირ შემთხვევაში, ტიპური განვითარების მქონე ხელოვანებისგან განსხვავებით, ისინი მსგავს სახელოვნებო საქმიანობას მოხალისეობრივად და სრულიად უსასყიდლოდ ასრულებენ, რაც დისკრიმინაციულია და შშმ ახალგაზრდებს უკარგავს მოტივაციას უფრო აქტიურად იყვნენ ხელოვნების და კულტურის სფეროში ჩართულები.

როგორც კვლევაში ჩართულმა სხავდასხვა ინკლუზიური კომპანიების დამფუძნებლებმა აღნიშნეს, ისინი ცდილობენ მცირეოდენი ჰონორარი მაინც გადაუხადონ სხვადასხვა წარმოდგენაში ჩართულ შშმ პირებს, რათა წაახალისონ და დააფასონ მათი შრომა. თუმცა, ისინი კომპანიის წევრ შშმ ახალგაზრდებზე ჰონორარს მხოლოდ სახელმწიფოსგან დაფინანსებული პროექტის ფარგლებში გასცემენ. სახელმწიფოს მიერ, ყოველწლიურად გამოცხადებული გრანტის ოდენობა ძალიან მწირია და შესაბამისად, არ არის საკმარისი იმისთვის რომ ხარისხიანი პროდუქტი შეიქმნას და პროდუქტის შექმნაში ჩართულმა როგორც ტიპური განვითარების მქონე ხელოვანებმა, ასევე შშმ ხელოვანებმა მიიღონ საკმარისი ჰონორარი.
შშმ პირების მიერ გაწეული შრომის არ ანაზღაურება ან მცირეოდენი თანხით ანაზღაურება, არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბარიერი, რასაც კვლევაში ჩართულმა ბევრმა შშმ ახალგაზრდამ გაუსვა ხაზი.

©InForm – Platform for Inclusive Minds

3.8 გადამზადებული კადრების არარსებობა

სახელოვნებო და კულტურის დაწესებულებებში დასაქმებულმა პერსონალმა, ხშირად არ იცის როგორ გაუწიოს ასისტირება შშმ პირს და როგორ დაამყაროს მასთან ურთიერთობა. მათ, როგორც საზოგადოების უმეტეს ნაწილს, აქვთ სტერეოტიპული დამოკიდებულება შშმ პირების მიმართ. ხშირად, უყურადღებობას იჩენენ ან იმდენად დიდ ყურადღებას აქცევენ, რომ ესეც ერთგვარად თრგუნავს შშმ პირს. კვლევაში ჩართულმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდებმა აღნიშნეს, რომ სახელოვენებო და კულტურის დაწესებულებებში დასაქმებულთა დამოკიდებულება წარმოადგენს მათთვის ბარიერს. ისინი ვერ ახერხებენ სახელოვნებო დაწესებულებებსა თუ სივრცეებში თამამად მისვლას, რადგან ეშინიათ არ გახდნენ პერსონალის მხრიდან სტერეოტიპული დამოკიდებულების მსხვერპლნი.
სახელოვნებო და კულტურის დაწესებულებებში დასაქმებულმა პერსონალმა, ხშირად არ იცის როგორ გაუწიოს ასისტირება შშმ პირს და როგორ დაამყაროს მასთან ურთიერთობა. მათ, როგორც საზოგადოების უმეტეს ნაწილს, აქვთ სტერეოტიპული დამოკიდებულება შშმ პირების მიმართ. ხშირად, უყურადღებობას იჩენენ ან იმდენად დიდ ყურადღებას აქცევენ, რომ ესეც ერთგვარად თრგუნავს შშმ პირს. კვლევაში ჩართულმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდებმა აღნიშნეს, რომ სახელოვენებო და კულტურის დაწესებულებებში დასაქმებულთა დამოკიდებულება წარმოადგენს მათთვის ბარიერს.

IV.დასკვნები და რეკომენდაციები

ხელოვნების და კულტურის სფეროში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა აქტიური მოღვაწეობა მე-20 საუკუნის ბოლოდან დაიწყეს. მსოფლიო ისტორიის მანძილზე, მათ ბევრი ალტერნატიული სისტემა და ღირებულება შექმნეს, რომელიც ეფუძნებოდა მათივე ღირებულებებს და საჭიროებებს. დიდ ბრიტანეთში, აღნიშნული პრაქტიკა 1960-იან წლებში დაიწყო და წარმატებით მიმდინარეობს. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად უამრავი ბარიერისა, რომელიც ძალიან დიდ დაბრკოლებას უქმნის შშმ ახალგაზრდებს საქართველოში, ისინი მაინც ცდილობენ ჩაერთონ ხელოვნების და კულტურის სფეროში. ბოლო ათწლეულის განმავლობაში, საქართველოში მუშაობა დაიწყო ბევრმა არასამთავრობო ორგანიზაციამ, რომლებიც ცდილობენ მოახდინონ შშმ პირების უფლებების ადვოკატირება, რათა შშმ პირებმა იცოდნენ რის უფლება აქვთ, დაიცვან საკუთარი უფლებები და უფრო აქტიურები გახდნენ. მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო სტრუქტურებმა, სახელოვნებო ორგანიზაციებმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა იმუშაონ კოორდინირებულად, რათა ერთობლივად დაძლიონ ბარიერები, რომელსაც შშმ ახალგაზრდები აწყდებიან როგორც კულტურის და ხელოვნების სფეროში, ასევე ყოველდღიურ ცხოვრებაში.

შშმ ახალგაზრდების ხელოვნების და კულტურის სფეროში ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით, ძალიან დიდი შრომა გასწია ბრიტანეთის საბჭომ საქართველოში, ოთხწლიანი პროგრამის ფარგლებში „შეუზღუდავი შესაძლებლობები: სწორი ნაბიჯების გადადგმა“ [13]. 2015 წლიდან მოყოლებული, პროგრამამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია როგორც ხელოვნებასა და თეატრზე, ისე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ცხოვრებაზე. დაწყებიდან რამდენიმე წელიწადში პროგრამა ,,შეუზღუდავი შესაძლებლობები: სწორი ნაბიჯების გადადგმა,“ გახდა უდიდესი ინსპირაციის წყარო რეალური რეფორმების და ქართული საზოგადოების დამოკიდებულებისა გაუმჯობესების თვალსაზრისით. საქართველოში პროგრამის განხორციელების შედეგად მიღწეული იქნა შემდეგი შედეგები:

- პროგრამა გახდა საქართველოში პირველი, თბილისის ინკლუზიური საცეკვაო კომპანიის შექმნის ინსპირაციის წყარო
- ქართველმა მოცეკვავეებმა მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო მასშტაბის თეატრალური წარმოდგენის „არგონავტების“ შექმნის პროცესში. ეს სპექტაკლი ბრიტანელმა ქორეოგრაფმა ბენ დიუკმა დადგა. პრემიერა შედგა ბრიტანული სეზონის ფარგლებში #UKGeorgia2019 და დიდი მოწონება დაიმსახურა.
- საქართველოს პარლამენტმა პირველად უმასპინძლა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ხელოვნების საერთაშორისო ფორუმს. ღონისძიების მონაწილეების მიერ მოწოდებული უკუკავშირის შედეგად 39 რესპოდენტიდან ყველა ადასტურებს მათ მიერ ინკლუზიური ხელოვნების ცნობიერების ამაღლებას და პოზიტიურ დამოკიდებულებას, ასევე მზადყოფნას უფრო გაიცნონ ეს სფერო და კულტურის ეს მიმართულება.

მნიშვნელოვანია მსგავსი პროექტები ხშირად განხორციელდეს, რათა შშმ ახალგაზრდებმა გაიზიარონ საერთაშორისო გამოცდილება და წარმატებული მაგალითები. მსგავს პროექტებში ჩართულობა, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს როგორც შშმ ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლებას, ასევე საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას ხელოვნების და კულტურის სფეროს ინკლუზიურობასთან დაკავშირებით.

კვლევისას გამოიკვეთა საჭიროება შეიქმნას ადაპტირებული, კომპლექსური ვებ-გვერდი, რომელიც თავს მოუყრის და გააერთიანებს ინკლუზიურ ხელოვნებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას. მნიშვნელოვანია, უცხო ენიდან მოხდეს შესაბამისი ლიტერატურის და ინფორმაციის თარგმნა ქართულ ენაზე და განთავსდეს აღნიშნულ ვერბ-გვერდზე, რათა ქართველ შშმ ახალგაზრდებს ჰქონდეთ წვდომა საზღვარგარეთ მოღვაწე შშმ ხელოვანების და ინტეგრირებული/ინკლუზიური სახელოვნებო კომპანიების შესახებ.

[13] https://www.britishcouncil.ge/programmes/arts/unlimited

კვლევისას გამოვლინდა, რომ საქართველოში არსებული ბევრი სახელოვნებო დაწესებულება არის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, შესაბამისად არ არის ნებადართული შენობის იერსახის შეცვლა. თუმცა, მნიშვნელოვანია უნივერსალური დიზაინის გამოყენებით ისე დაიგეგმოს მსგავსი შენობების ადაპტირება, რომ არ მოხდეს არც შენობის ფასადის და არც შიდა სივრცის მკვეთრი ცვლილება. როცა არსებობს ნება, ყველაფერი შესაძლებელია.

ინკლუზიური სახელოვნებო კომპანიების მიერ, ერთ-ერთ ყველაზე დამაბრკოლებელ ბარიერად დასახელდა სახელმწიფოს მხრიდან მწირი დაფინანსება, რომელიც ყოველწლიურად იზრდება, თუმცა ზრდა უმნიშვნელო და არასაკმარისია სექტორის განვითარებისთვის. ერთჯერადი პროექტები და ერთჯერადი დაფინანსება, რომლის ოდენობაც ძალიან მწირია, მნიშვნელოვნად უშლის ხელს სფეროს განვითარებას. ახალბედა ორგანიზაციებისთვის, ძალიან მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხარდაჭერა, რათა ორგანიზაციებმა შეძლონ გაძლიერება და სფეროში აქტიურად ჩართვა, რასაც სტაბილური რესურსები სჭირდება. ინკლუზიურ სახელოვნებო ორგანიზაციებს არ აქვთ მუდმივობის განცდა, რაც საფრთხეს უქმნის როგორც აღნიშნული ორგანიზაციების სტაბილურობას და გრძელვადიან პერსპექტივაში არსებობას, ასევე ორგანიზაციის საქმიანობაში ჩართულ შშმ პირებს, ჰქონდეთ მოტივაცია და სურვილი წარმოადგენდნენ მსგავს ორგანიზაციების და ღებულობდნენ მონაწილეობას მათ მიერ შექმნილ პროდუქტში.

ინკლუზიური სახელოვნებო კომპანიები/კულტურის ორგანიზაციები, ბარიერს ხედავენ სახელმწიფოს მიერ შემუშავებული მონიტორინგისა და შეფასების სისტემის არაეფექტიანობაში. ხშირ შემთხვევაში, სახელმწიფოს მხრიდან, მათ მიერ კულტურის ორგანზაციებისთვის გაცემული გრანტის მონიტორინგი და შეფასება ხდება ზედაპირულად. ისინი მხოლოდ გრანტის ფარგლებში განხორციელებული პროექტების ფოტოებით შემოიფარგლებიან. არ ესწრებიან ღონისძიებებს, რათა შეაფასონ რამდენად ხარისხიანი პროდუქტი შეიქმნა გაცემული გრანტის ფარგლებში. შესაბამისად, ძლიერი მონიტორინგის და შეფასების სისტემა, ნიშნავს მიზნობრივად გახარჯულ ბიუჯეტს და ხარისხიან პროდუქტს, რაც სამომავლო პერსპექტივაში დაკავშირებულია ინკლუზიური წარმოდგენების აუდიტორიის ზრდასთან და მეტ მაყურებელთან. შშმ ახალგაზრდებისთვის, ბარიერს წარმოადგენს საზოგადოების მხრიდან სტერეოტიპული დამოკიდებულება, რაც ხშირ შემთხვევაში, არ აძლევს მათ განვითარების და წარმატების მიღწევის შესაძლებლობას. კვლევაში ჩართული ბევრი შშმ ხელოვანის მხრიდან, ხაზგასმული იყო, რომ ყველა მათ მიღწევას საზოგადოების მხრიდან მოყვება ბულინგი. ისინი ფიქრობენ, რომ შეცოდება არის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რატომაც არიან შშმ ხელოვანები წარმატებულები. ინკლუზიური სახელოვნებო კომპანიების წარმომადგენლების მხრიდან კი გამოიკვეთა, რომ ხელოვნების სფეროში ჩართული შშმ პირები ტოლს არ უდებენ ტიპური განვითარების მქონე ხელოვანებს. ხშირ შემთხვევაში, მათი მონდომება და მოტივაცია იმდენად მაღალია, რომ წარმოდგენის დასრულების შემდეგ, დამსწრე საზოგადოება ხშირად კითხულობს რომელი ხელოვანი იყო შშმ პირი და რომელი ტიპური განვითარების.

ბევრი უსინათლო/სმენის არმქონე ახალგაზრდა, დაინტერესებულია სხვადასხვა სახელოვნებო ღონისძიებაზე დასწრებით, თუმცა მათთვის ბარიერს წარმოადგენს არაადაპტირებული რეპერტუარი. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის[14] მიერ გამოქვეყნდა 2015 წელს ჩატარებული კვლევის შედეგები, რომლის მიხედვით, საქართველოში შშმ პირთა რაოდენობა უტოლდება 3%-ს. შესაბამისად, ეს არის ახალი აუდიტორია სახელოვნებო ორგანიზაციებისთვის. მათ უნდა ჰქონდეთ სურვილი და მოტივაცია, რომ მოიზიდონ ახალი აუდიტორია, რათა უფრო მეტი მაყურებელი ჰყავდეთ. თუ სახელოვნებო დაწესებულებები მოახდენენ რეპერტუარის ადაპტირებას, ამით ხელს შეუწყობენ ინკლუზიურ ტურიზმსაც, რაც ძალიან მომგებიანი იქნება როგორც აღნიშნული ორგანიზაციებისთვის, ასევე სახელმწიფოსთვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შემუშავდა შემდეგი რეკომენდაციები:

[14] *https://idfi.ge/ge/statistics-of-persons-with-disabilities*

4.1 საქართველოს კულტურის და სპორტის სამინისტროს და მუნიციპალიტეტების მერიას

- გაიზარდოს დაფინანსება ინკლუზიური სახელოვნებო/კულტურის ორგანიზაციების და შემუშავდეს ყოველწლიური დაფინანსების სისტემა, რომელიც არა ერთჯერადად, არამედ სტაბილურად დააფინანსებს ინკლუზიურ სახელოვნებო/კულტურის ორგანიზაციებს და უზრუნველყოფს მსგავსი ორგანიზაციების მდგრადობას;
- შემუშავდეს ეფექტიანი მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტი, რომელიც გაზომავს გაიხარჯული თანხის მიზნობრიობას და შექმნილი პროდუქტის ხარისხს;
- სახელმწიფო სახელოვნებო დაწესებულებებისთვის/სასწავლებლებისთვის ყოველწლიურად გაცემულ ბიუჯეტში მოხდეს ფინანსების გამოყოფა სახელოვნებო შენობების ადაპტირების მიზნით;
- შედგეს სამოქმედო გეგმა უმაღლესი სახელოვნებო განათლების ხელმისაწვდომობის მიზნით;
- ჩატარდეს ინკლუზიის შესახებ ცნობიერების ასამაღლებელი ტრენინგები/აქტივობები როგორც სამინისტროში დასაქმებული პირებისთვის, ასევე კულტურის ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის.
- მოხდეს კულტურის და ხელოვნების სფეროში დასაქმებული კადრების გადამზადება; მნიშვნელოვანია, პროცესში ჩართული იყოს შშმ ექსპერტი, რომელიც დაეხმარება კულტურის მენეჯერს, შეიმუშავოს სპეციალური გაიდლაინი, რომელიც იქნება ერთგვარი გზამკვლევი თუ როგორ უნდა დაამყარონ ურთიერთობა კულტურის სფეროში დასაქმებულმა კადრებმა შშმ პირებთან.

4.2 კულტურის ორგანიზაციებს

- მოხდეს რეპერტუარის/ვებ გვერდის ადაპტირება, რათა უსინათლო/სმენის არ მქონე ახალგაზრდებმა შეძლონ სხვადასხვა სახელოვნებო/კულტურულ ღონისძიებაზე დასწრება და მათ შესახებ ინფორმაციის მოძიება.
- შეიქმნას კულტურის ორგანიზაციების ალიანის/ბორდი, რომელშიც ჩაერთვებიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ექსპერტები და დაეხმარებიან კულტურის ორგანიზაციებს ინკლუზიის საკითხებში და ახალი აუდიტორიის მოზიდვაში.
- სახელმწიფო დაფინანსების პარალელურად, მოხდეს დამატებითი რესურსების/ფონდების მოძიება, პროექტების სტაბილურობის და მდგრადობის შენარჩუნების მიზნით.
- შეიქმნას მაღალი ხარისხის ინკლუზიური კულტურული ღონისძიებები. ხარისხიანი პროდუქტი ნიშნავს მეტ მაყურებელს, მეტ ცნობადობას და მეტ გაყიდულ ბილეთს.
- დაიგეგმოს აქტიური საინფორმაციო კამპანია იმ აქტივობების/ღონისძიებების შესახებ, რომელსაც კულტურის ორგანიზაციები ახორციელებენ, რათა მეტ შშმ ახალგაზრდას ჰქონდეს წვდომა მსგავსს აქტივობებზე;
- შეიქმნას მოკლევადიანი და გრძელვადიანი სამოქმედო გეგმა, თუ როგორ უნდა მოხდეს სახელოვნებო/კულტურული ღონისძიებების ხელმისაწვდომობის გაზრდა.
- შეიქმნას სპეციალური პროექტები/პროგრამები, რომლის ფარგლებშიც შშმ ახალგაზრდებს ექნებათ კულტურის დაწესებულებებში დასაქმების შესაძლებლობა.

4.3 ინკლუზიის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს

- დაიგეგმოს და განხორციელდეს ცნობიერების ასამაღლებელი ტრენინგები სახელმწიფო სტრუქტურების/სექტორის წარმომდაგენლების/შშმ ახალგაზრდების მშობლების/შშმ ახალგაზრდებისთვის, რომელზეც მოწვეული საერთაშორისო ექსპერტები გაუზიარებენ ინფორმაციას საზღვარგარეთ არსებული გამოცდილების შესახებ და აჩვენებენ როგორ გამოიყურება ხარისხიანი ინკლუზიური პროდუქტი, ხოლო ადგილობრივი ექსპერტები მიაწოდებენ ინფორმაციას სექტორში არსებულ შესაძლებლობებზე;
- დაიგეგმოს/განხორციელდეს ტრენინგები პროექტის წერის მიმართულებით, რომელიც კულტურის ორგანიზაციებს დაეხმარება დამატებითი ფონდების მოძიებაში;
- განხორციელდეს საინფორმაციო კამპანია ხელოვნებაში ჩართული წარმატებული შშმ ახალგაზრდების, ინკლუზიური და ინტეგრირებული სახელოვნებო ორგანიზაციების პოპულარიზაციის მიზნით, რათა მეტ შშმ ახალგაზრდას გაუჩნდეს სფეროში აქტურად ჩართვის სურვილი.
- განხორციელდეს პროექტები, რომლის ფარგლებშიც საქართველოს ეწვევიან საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული ინკლუზიური კომპანიები, შშმ ხელოვანები, ინკლუზიური არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და სფეროს ექსპერტები. ადგილობრივ აუდიტორიას გაუზიარებენ თავიანთ გამოცდილებას, მიაწოდებენ ინფორმაციას საუკეთესო მაგალითების შესახებ და გასცემენ რეკომენდაციებს სფეროს განვითარების ხელშეწყობის მიზნით, რაც მისცემს მოტივაციას შშმ ახალგაზრდებს/სექტორის წარმომადგენლებს საუკეთესო საერთაშორისო მაგალითების გათვალისწინებით დაგეგმონ სამომავლო კარიერა/აქტივობები;
- შეიქმნას ადაპტირებული სახელოვნებო ვებ-გვერდი, რომელშიც თავმოყრილი იქნება ინკლუზიურ ხელოვნებასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია, კვლევა თუ ბმული.
- ჩატარდეს სახელოვნებო დაწესებულებების კომპლექსური კვლევა, რომელიც დეტალურად ასახავს ინფორმაციას, თუ რა დონეზეა თითოეული დაწესებულება ხელმისაწვდომი შშმ პირებისთვის და რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ მოხდეს მათი სრულად ადაპტირება.
- შეიქმნას ერთგვარი საინფორმაციო რუკა, რომელზეც დატანილი იქნება დეტალური ინფორმაცია ყველა იმ სახელოვნებო შენობის შესახებ, რომელიც ხელმისაწვდომია შშმ პირებისთვის და სადაც შესაძლებელია სხვადასხვა ღონისძიების ან რეპეტიციის გამართვა. მსგავსი რუკა, გაუადვილებს ინკლუზიურ კომპანიებს სარეპეტიციო სივრცის მოძიებას.
- დაიგეგმოს და განხორციელდეს ტრენინგები, რომლებიც აამაღლებს ცნობიერებას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდებში შშმ პირების მიერ მართული ხელოვნების შესახებ, რათა სამომავლოდ გაუჩნდეთ მოტივაცია თავად შექმნან ხელოვნება და თავად იყვნენ სახელოვნებო კომპანიების და დასების ხელმძღვანელები.
- წარიმართოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უმაღლესი სახელოვნებო განათლების და მათთვის სახელოვნებო ინფრასტრუქტურის ადაპტირებასთან დაკავშირებული საკითხების აქტიური ადვოკატირება.

4.4 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდებს

- აუცილებლად დაუკავშირდნენ კულტურის დაწესებულებას, თუ ღონისძიების შესახებ, რომელზეც დასწრება სურთ, არ არის მითითებული ინფორმაცია ღონისძიების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით. მნიშვნელოვანია, ყველა შშმ ახალგაზრდამ აცნობოს კულტურის დაწესებულებებს, რომ მათ აქვთ ღონისძიებაზე დასწრების სურვილი და იზრუნონ ღონისძიების ადაპტირებაზე. როგორც კვლევაში ჩართულმა ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, მნიშვნელოვანია იყოს მოთხოვნა და კულტურის დაწესებულებები დადგნენ ფაქტის წინაშე, რომ დაიწყონ ფიქრი ღონისძიებების ადაპტირებასთან დაკავშირებით. შშმ ახალგაზრდებმა იციან, რომ უმეტესი ღონისძიება არ არის ადაპტირებული, შესაბამისად არც კი ფიქრობენ მათზე დაესწრებას. რახან არ არის მათი მხრიდან მოთხოვნა, კულტურის დაწესებულებებიც არ ცდილობენ ღონისძიებების ადაპტირებას. პროცესების დასაჩქარებლად, მნიშვნელოვანია შშმ პირებმა მოითხოვონ ის, რაც მათ კანონით ეკუთვნით.
- გამოიყენონ ყველა პლატფორმა და შესაძლებლობა, რომელიც დაეხმარებათ მათი მიზნების განხორციელებაში; როცა შშმ პირების უფლებებისთვის სხვები იბრძვიან, ნაკლებად დამაჯერებელია სახელმწიფო სტრუქტურებისთვის, რომ შშმ პირებს ნამდვილად სურთ ცვლილებები. ამიტომ, მნიშვნელოვანია გაერთიანდენ და დაიწყონ ბრძოლა საკუთარი უფლებებისთვის. ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი.
- შეიქმნას შშმ ახალგაზრდებისგან/ხელოვანებისგან დაკომპლექტებული ალიანსი, გაერთიანება, ორგანიზაცია. შემუშავდეს გრძელვადიანი სამოქმედო გეგმა რომლის მიზანი იქნება კულტურის და სახელოვნებო სფეროს მაქსიმალური ხელმისაწვდომობა.
- თავად შექმნან და ასწავლონ ხელოვნება; შშმ პირებისგან მართული ხელოვნების ჩამოყალიბება (Disability Led Arts) იქნება ძალიან დიდი წინგადადგმული ნაბიჯი, რაც ხელს შეუწყობს ხელოვნების და კულტურის სფეროს ინკლუზიას;

რეკომენდაცია ყველა ორგანიზაციისთვის და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდისთვის იქნება შემდეგი: მნიშვნელოვანია, ყველა მხარე აქტიურ კომუნიკაციაში იყოს ერთმანეთთან. სწორი/აქტიური კომუნიკაცია და მხარეებს შორის მჭიდრო კოლაბორაცია, არის ყველა ბარიერის დაძლევის გზა.

©InForm – Platform for Inclusive Minds

გავნითარებისა და ჩართულობის პლატფორმა (DEP)

ketevan@dep.ge Info@dep.ge

2024